ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
2016 წლის 8 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი # 1

სადისერტაციო საბჭოს სხდომას 43 წევრიდან ესწრებოდა 22 წევრი

დღის წესრიგი

1. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ **თამარ ქარაიასთვის** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
2. კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის II სემესტრის დოქტორანტ **კონსტანტინე შუბითიძის** განცხადება მიმართულების შეცვლის თაობაზე;
3. სოციოლოგიის მიმართულების V სემესტრის დოქტორანტ **ქეთევან ჩოქურის** განცხადება სამეცნიერო ხელძღვანელის ცვლილებასთან დაკავშირებით;
4. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მე-4 სემესტრის დოქტორანტ **არჩილ სიხარულიძის** განცხადება სადისერტაციო თემის ცვლილებასთან დაკავშირებით;
5. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ინგლისურენოვანი პროგრამის დოქტორანტების: **ნიკოლოზ სამხარაძისა** და **ეკა აკობიას** მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასრულების და შემფასებლების გამოყოფის საკითხი;
6. საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მე-4 სემესტრის დოქტორანტ **თამთა ქუსიკაშვილის** განცხადება მიმართულების შეცვლის თაობაზე;
7. დარგობრივი სექციის თავმჯდომარეებისა და მდივნების დამტკიცება;
8. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: 1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ალექსანდრე კუხიანიძემ საბჭოს წევრების წინაშე დააყენა პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ თამარ ქარაიასთვის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა მ.მაცაბერიძემ.

მ. მაცაბერიძემ განაცხადა, რომ თამარ ქარაიას დისერტაციის დაცვამ წარმატებით ჩაიარა. შესაბამისად, იგი მომხრეა, თ. ქარაიას მიენიჭოს პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების 2016 წლის 29 იანვრის სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **თამარ ქარაიას** (თემა: „მეხსიერების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში (საბჭოთა წარსულის გააზრება ვარდების რევოლიციის შემდეგ)"; შეფასება magna cum laude) მიენიჭოს პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: 2. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის II სემესტრის დოქტორანტ კონსტანტინე შუბითიძის განცხადება მიმართულების შეცვლის თაობაზე. კონსტანტინე შუბითიძეს სურს გადავიდეს საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე. ალ. კუხიანიძემ განაცხადა, რომ საბჭოს სახელზე შემოსულია საერთაშორისო ურთიერთობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, ზ. დავითაშვილის თანხმობის წერილიც.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა: ზ. დავითაშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა: ფ. ასანიშვილმა;

ზ. დავითაშვილმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა, კონსტანტინე შუბითიძემ შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა და გახდეს სერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი;

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის II სემესტრის დოქტორანტ კონსტანტინე შუბითიძის განცხადება მიმართულების შეცვლის თაობაზე და კონსტანტინე შუბითიძე 2016 წლის გაზაფხულის სემესტრიდან გადაყვანილ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე.

მოისმინეს: 3. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის V სემესტრის დოქტორანტ **ქეთევან ჩოქურის** განცხადება სამეცნიერო ხელძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებით. როგორც ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, დოქტორანტს სურს, სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე ჩანაცვლდეს ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილითა და ზურაბ ქვათაძით.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორებმა: ს. დუნდუამ, ნ. დურგლიშვილმა

ნ. დურგლიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ იგი ესაუბრა დოქტორანტ ქ. ჩოქურს და მიაჩნია, რომ დოქტორანტის სადისერტაციო თემა ძალიან საინტერესოა და იგი თანახმაა იყოს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დოქტორანტ ქ. ჩოქურს სადისერტაციო თემა არ აქვს დამტკიცებული. შესაბამისად, მას არ ჰყავს დამტკიცებული არც სამეცნიერო ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე, ქ. ჩოქურს ჯერ სადისერტაციო საბჭოზე უნდა დაუმტკიცდეს სადოქტორო თემის სათაური და შესაბამისად, სამეცნიერო ხელმძღვანელიც. დოქტორანტს შეუძლია, საბჭოში შესაბამისი განცხადების დაწერის შემდეგ, პირდაპირ მისთვის სასურველი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის დამტკიცება მოითხოვოს.

დაადგინეს: სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მე-5 სემესტრის დოქტორანტ ქეთი ჩოქურს, იქიდან გამომდინარე, რომ არ აქვს თემა დამტკიცებული და არ ჰყავს ოფიციალური ხელმძღვანელი, ამ ეტაპზე უარი ეთქვას სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლაზე.

მოისმინეს: 4. ალ. კუხიანიძემ სადისერტაციო საბჭოს წინაშე დააყენა პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის მე-4 სემესტრის დოქტორანტ **არჩილ სიხარულიძის** სადისერტაციო თემის ცვლილების საკითხი. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ დოქტორანტი განცხადების საფუძველზე ითხოვს ძველი თემა „პოლიტიკური მენტალიტეტის ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში" (ხელმძღვანელი ა.კუხიანიძე) შეეცვალოს ახალი თემით „ვარდების რევოლუციის ზეგავლენა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე: მოლოდინები და შედეგები."

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ. გოგსაძემ; ასოცირებულმა პროფესორებმა: მ შამილიშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა;

გ. გოგსაძემ განაცხადა, რომ დოქტორანტის მიერ მოთხოვნილი ახალი თემა მისაღებია, თუმცა, მისი აზრით, თემის სათაური საჭიროებს შემდგომ კორექტირებას და უკეთ ჩამოყალიბებას.

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის მე-4 სემესტრის დოქტორანტ **არჩილ სიხარულიძეს** შეეცვალოს სადისერტაციო თემა და ნაცვლად ძველი თემისა „პოლიტიკური მენტალიტეტის ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში" (ხელმძღვანელი ა.კუხიანიძე) დაუმტკიცდეს ახალი თემა: „ვარდების რევოლუციის ზეგავლენა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე: მოლოდინები და შედეგები"

მოისმინეს: 5. ა) ალ. კუხიანიძემ სადისერტაციო საბჭოს წევრებს მოახსენა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ინგლისურენოვანი პროგრამის დოქტორანტ **ნიკოლოზ სამხარაძის** მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასრულების თაობაზე. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ დოქტორანტს წესრიგში აქვს ყველა საბუთი და, შესაბამისად, შესაძლებელია მის დისერტაციას მიეცეს მსვლელობა. ნიკოლოზ სამხარაძის სადოქტორო თემაა: „რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება - რუსეთის ტრადიციული აღიარების პოლიტიკიდან გადახრის მიზეზები."(PHD title: Russia's Recognition of Abkhazia and South Ossetia

- Causes of Deviation from Russian traditional recognition policy). ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დარგობრივი სექციის მიერ (ოქმი #2) ნ. სამხარაძის შემფასებლებად დასახელებული პირები:

ადგილობრივი შემფასებლები:

1. ფიქრია ასანიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორი asanishviliphikri@gmail.com 599 643 223
2. ალექსანდრე კუხიანიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი – alexandre.kukhianidze@tsu.ge , 599 518 417

უცხოელი შემფასებლები:

1. პროფესორი დონალდ პუჩალა - სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტი, ა.შ.შ.; jeannepuchala@gmail.com
2. ასოცირებული პროფესორი მატეო ფუმაგალი - ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, უნგრეთი; fumagallim@ceu.edu
3. პროფესორი ჯერი ჰადსონი - ვიტენბერგის უნივერსიტეტი, ა.შ.შ.; ghudson@wittenberg.edu; gerhud@gmail.com

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა: ზ. დავითაშვილმა, რ. ჯორბენაძემ;

ზ. დავითაშვილმა განაცხადა, რომ იგი, როგორც დისერტანტის თანახელმძღვანელი, კარგად იცნობს სადისერტაციო ნაშრომს და მიაჩნია, რომ დოქტორანტმა ნამდვილად დიდი შრომა გასწია და მისი დისერტაცია ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მიეცეს მსვლელობა;

დაადგინეს: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ინგლისურენოვანი პროგრამის დოქტორანტ **ნიკოლოზ სამხარაძის** სადისერტაციო ნაშრომის „რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება - რუსეთის ტრადიციული აღიარების პოლიტიკიდან გადახრის მიზეზები"(PHD title: Russia's Recognition of Abkhazia and South Ossetia - Causes of Deviation from Russian traditional recognition policy) შემფასებლებად დადგინდნენ:

ადგილობრივი შემფასებლები:

1. ფიქრია ასანიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორი asanishviliphikri@gmail.com 599 643 223

2. ალექსანდრე კუხიანიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი – alexandre.kukhianidze@tsu.ge , 599 518 417

უცხოელი შემფასებლები:

3. პროფესორი დონალდ პუჩალა -სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტი, ა.შ.შ.; jeannepuchala@gmail.com
4. ასოცირებული პროფესორი მატეო ფუმაგალი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, უნგრეთი; fumagallim@ceu.edu
5. პროფესორი ჯერი ჰადსონი - ვიტენბერგის უნივერსიტეტი, ა.შ.შ.; ghudson@wittenberg.edu ; gerhud@gmail.com

საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი **ნიკოლოზ სამხარაძე** ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების **მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის** საფუძველზე გათავისუფლდეს სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან.

მოისმინეს: 5. ბ) ალ. კუხიანიძემ სადისერტაციო საბჭოს წევრებს მოახსენა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ინგლისურენოვანი პროგრამის დოქტორანტ **ეკა აკობიას** მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასრულების თაობაზე. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ დოქტორანტს წესრიგში აქვს ყველა საბუთი და, შესაბამისად, შესაძლებელია მის დისერტაციას მიეცეს მსვლელობა. სადოქტორო თემის სათაურია: „საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ინიციატივები ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურასთან დაკავშირებით: მიზნები, ფაქტორები, შედეგები" (PHD title: the initiatives of the Soviet Union and the Russian Federation Vis a Vis the European Security Architecture: Unpacking the Objectives, Factors and the Outcomes). ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დარგობრივი სექციის მიერ (ოქმი #2) ე. აკობიას შემფასებლებად დასახელებული პირები:

ადგილობრივი შემფასებლები:

1. თორნიკე თურმანიძე– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორი, tornike.turmanidze@tsu.ge, tornike_t@hotmail.com , 577 528 300
2. კორნელი კაკაჩია– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი, korneli.kakachia@tsu.ge, kkakachia@yahoo.com , 599 237 429

უცხოელი შემფასებლები:

1. პროფესორი სტივენ ჯონსი - მაუნთ ჰოლიქ კოლეჯი, ა.შ.შ.; sfjones@mtholyoke.edu

2. ასოცირებული პროფესორი ალექსანდრ ასტროვი - ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, უნგრეთი; astrova@ceu.hu
3. პროფესორი ჯერი ჰადსონი - ვიტენბერგის უნივერსიტეტი, ა.შ.შ.; ghudson@wittenberg.edu; gerhud@gmail.com

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ზ. დავითაშვილმა; ასოცირებულმა პროფესორებმა ნ. მაჭარაშვილმა და ნ. დურგლიშვილმა.

ზ. დავითაშვილმა განაცხადა, რომ ისევე როგორც ნიკოლოზ სამხარაძის შემთხვევაში, დოქტორანტ ეკა აკობიას ნაშრომსაც კარგად იცნობს და თვლის, რომ სადისერტაციო საბჭომ უნდა მისცეს მას მსვლელობა.

დაადგინეს: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ინგლისურენოვანი პროგრამის დოქტორანტ **ეკა აკობიას** სადოქტორო თემის: „საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ინიციატივები ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურასთან დაკავშირებით: მიზნები, ფაქტორები, შედეგები" (PHD title: the initiatives of the Soviet Union and the Russian Federation Vis a Vis the European Security Architecture: Unpacking the Objectives, Factors and the Outcomes) შემფასებლებად გამოიყონ:

ადგილობრივი შემფასებლები:

1. თორნიკე თურმანიძე– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორი, tornike.turmanidze@tsu.ge, tornike_t@hotmail.com , 577 528 300
2. კორნელი კაკაჩია– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი, korneli.kakachia@tsu.ge, kkakachia@yahoo.com , 599 237 429

ადგილობრივი შემფასებლები:

1. პროფესორი სტივენ ჯონსი - მაუნთ ჰოლიქ კოლეჯი, ა.შ.შ.; sfjones@mtholyoke.edu
2. ასოცირებული პროფესორი ალექსანდრ ასტროვი - ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, უნგრეთი; astrova@ceu.hu
3. პროფესორი ჯერი ჰადსონი - ვიტენბერგის უნივერსიტეტი, ა.შ.შ. ghudson@wittenberg.edu; gerhud@gmail.com

საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი **ეკა აკობია** ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების **მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის** საფუძველზე გათავისუფლდეს სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან.

მოისმინეს: 6. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო საზოგადოებრივი გეოგრაფიის მეოთხე სემესტრის დოქტორანტ თამთა ქუსიკაშვილის განცხადება მიმართულების შეცვლის თაობაზე. თამთა ქუსიკაშვილს სურს გადავიდეს კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამაზე. ალ. კუხიანიძემ განაცხადა, რომ საბჭოს სახელზე შემოსულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, გ. მაღრაძის თანხმობის წერილიც.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა: რ. ჯორბენაძემ

რ. ჯორბენაძემ განაცხადა, რომ იგი თანახმაა, თამთა ქუსიკაშვილი გადმოვიდეს კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამაზე;

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მე-4 სემესტრის დოქტორანტ თამთა ქუსიკაშვილის განცხადება მიმართულების შეცვლის თაობაზე და თამთა ქუსიკაშვილი 2016 წლის გაზაფხულის სემესტრიდან გადაყვანილ იქნეს კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამაზე.

მოისმინეს: 7. ალ. კუხინიძემ სადისერტაციო საბჭოს გააცნო სადისერტაციო დებულების 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, დარგობრივი სექციების მიერ ჩატარებული თავმჯდომარის არჩევნების შედეგები. ასევე, საბჭოს წევრებს გააცნო არჩეული დარგობრივი სექციის თავმჯდომარეების მიერ მდივნის კანდიდატურებად დასახელებული პირების ვინაობა:

ა) პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებამ დარგობრივი სექციის თავმჯდომარედ აირჩია პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, რომელმაც მდივნის კანდიდატურად დაასახელა ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა;

ბ) სოციოლოგიის მიმართულებამ დარგობრივი სექციის თავმჯდომარედ აირჩია პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი, რომელმაც მდივნის კანდიდატურად დაასახელა ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე;

გ) საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებამ დარგობრივი სექციის თავმჯდომარედ აირჩია ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი, რომელმაც მდივნის კანდიდატურად დაასახელა ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი;

დ) მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებამ დარგობრივი სექციის თავმჯდომარედ აირჩია ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი, რომელმაც მდივნის კანდიდატურად დაასახელა ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე;

ე) საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებამ დარგობრივი სექციის თავმჯდომარედ აირჩია პროფესორი ზურაბ დავითაშვილი, რომელმაც მდივნის კანდიდატურად დაასახელა ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი;

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. მაცაბერიძემ. ასოცირებულმა პროფესორმა ვ. მელიქიძემ;

ვ. მელიქიძემ განაცხადა, რომ დარგობრივი სექციის თავმჯდომარეების არჩევნებმა ჩაირა წესების სრული დაცვით და, შესაბამისად, იგი თანახმაა, დამტკიცდეს დარგობრივი სექციის თავმჯდომარეები და მათ მიერ მდივნებად წარდგენილი კანდიდატურები;

ალ. კუხიანიძემ სთხოვა საბჭოს წევრებს, ხმის მიცემით დაედასტურებინათ თავიანთი დამოკიდებულება დასახელებული კანდიდატების მიმართ. ჩატარდა ხმის მიცემა. სადისერტაციო საბჭოს წევრებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება თითოეული დარგობრივი სექციის თავმჯდომარისა და მდივნის კანდიდატების დამტკიცების საკითხისადმი.

დაადგინეს: დარგობრივი სექციის თავმჯდომარეებად და მდივნებად, 2 წლის ვადით სადისერტაციო დებულების 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს შემდეგი კანდიდატურები:

ა) პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება - დარგობრივი სექციის თავმჯდომარე პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე; მდივანი - ასოცირებული პროფესორი, სალომე დუნდუა;

ბ) სოციოლოგიის მიმართულება - დარგობრივი სექციის თავმჯდომარე პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი; მდივანი - ასოცირებული პროფესორი, თამარ მახარაძე;

გ) საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება - დარგობრივი სექციის თავმჯდომარე ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი; მდივანი - ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი;

დ) მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება - დარგობრივი სექციის თავმჯდომარე ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი, მდივანი - ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე;

ე) საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება - დარგობრივი სექციის თავმჯდომარე პროფესორი ზურაბ დავითაშვილი; მდივანი - ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი.

მოისმინეს: 8. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს სთხოვა, მიმდინარე საკითხების განხილვის ფარგლებში გამოეთქვათ საკუთარი წინადადებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა: ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. გერსამიამ; ალ. კუხიანიძემ; ასოცირებულმა პროფესორმა: ვ. მელიქიძემ;

ი. კაჭკაჭიშვილმა განაცხადა, რომ მას აქვს წინადადება, შეიცვალოს დოქტორანტის კოლოქვიუმის შეფასების წესი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ 60 ქულით დოქტორანტის შეფასება, პრაქტიკულად, აზრს უკარგავს დარგობრივი სექციის მიერ კოლოქვიუმის ჩატარებას და, შესაბამისად, სექციის მიერ 40 ქულიანი შეფასებაც, მისი აზრით, არაადექვატურად დაბალია;

მ. გერსამიამ განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ი. კაჭკაჭიშვილის მოსაზრებას და თვლის, რომ აღნიშნული შეფასების სისტემა შესაცვლელია.

ალ. კუხიანიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელია აღნიშნული საკითხის განხილვა, თუმცა თვლის, რომ უმჯობესია, სადისერტაციო საბჭოს სახელზე ოფიციალურად შემოვიდეს განაცხადი აღნიშნულის თაობაზე და შემდეგ მოხდეს ცვლილებებზე მსჯელობა.

დაადგინეს: პროფესორ იაგო კაჭკაჭიშვილის მიერ კოლოქვიუმის შეფასების სისტემის გადახედვასთან დაკავშირებით დაყენებული წინადადება მომზადდეს უფრო დეტალურად და დასაბუთებულად და შესაბამისად, შემოვიდეს სადისერტაციო საბჭოში განსახილველად, რის შემდეგაც საბჭო იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: ალექსანდრე კუხიანიძე, პროფესორი

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

8 თებერვალი 2016 წ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს წევრები

№	გვარი, სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ბელქანია ნოდარი	პროფესორი	
2	ბერძენიშვილი ამირანი	პროფესორი	
3	გაჩეჩილაძე რევაზი	პროფესორი	
4	გერსამია მარიამი	პროფესორი	
5	გოგსაძე გიორგი	პროფესორი	
6	დავითაშვილი ზურაბი	პროფესორი	
7	კაკაჩია კორნელი	პროფესორი	
8	კაჭკაჭიშვილი იაგო	პროფესორი	
9	კუხიანიძე ალექსანდრე	პროფესორი	
10	ლორთქიფანიძე ვაჟა	პროფესორი	
11	მაცაბერიძე მალხაზი	პროფესორი	
12	მაღრაძე გუგული	პროფესორი	
13	ოსეფაშვილი დალი	პროფესორი	
14	სალუქვაძე იოსები	პროფესორი	
15	ჯორბენაძე რევაზი	პროფესორი	
16	ასანიშვილი ფიქრია	ასოც. პროფესორი	
17	ბიჭიკაშვილი ირა	ასოც. პროფესორი	
18	ბოკერია მარინე	ასოც. პროფესორი	
19	ბურძენიძე მარინა	ასოც. პროფესორი	
20	გაფრინდაშვილი ლელა	ასოც. პროფესორი	
21	დოლბაია თამარი	ასოც. პროფესორი	

22	დონაძე ნათელა	ასოც. პროფესორი	
23	დუნდუა სალომე	ასოც. პროფესორი	
24	დურგლიშვილი ნინო	ასოც. პროფესორი	
25	ვაშაკიძე რუსუდანი	ასოც. პროფესორი	
26	თურმანიძე თორნიკე	ასოც. პროფესორი	
27	იაშვილი ია	ასოც. პროფესორი	
28	კაპანაძე სერგი	ასოც. პროფესორი	
29	კუპრაშვილი ნათია	ასოც. პროფესორი	
30	მაჭარაშვილი ნანა	ასოც. პროფესორი	
31	მახარაძე თამარი	ასოც. პროფესორი	
32	მელიქიძე ვალერიანი	ასოც. პროფესორი	
33	პავლიაშვილი ნინო	ასოც. პროფესორი	
34	ჟორჟოლიანი გია	ასოც. პროფესორი	
35	საბედაშვილი თამარი	ასოც. პროფესორი	
36	სახვაძე ანზორი	ასოც. პროფესორი	
37	ტალახაძე ნანული	ასოც. პროფესორი	
38	ტორაძე მაია	ასოც. პროფესორი	
39	ქეცბაია კახა	ასოც. პროფესორი	
40	შამილიშვილი მანანა	ასოც. პროფესორი	
41	წერეთელი მარი	ასოც. პროფესორი	
42	წულაძე ლია	ასოც. პროფესორი	
43	ჯოლოგუა თამაზი	ასოც. პროფესორი	